ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## სტოლტენბერგი: „საქართველოს ნატოში გაწევრიანებას რუსეთი ხელს ვერ შეუშლის“

„ჩვენ გავაგრძელებთ თქვენს მხარდაჭერას და თქვენი იმედი გვაქვს“



გვ.4

8 სექტემბრიდან

ანა პოლიტკოვსკაია

პუტინის რუსეთი

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი



ხუთშაბათი, 8 სექტემბერი, 2016 №213 (7139) ფასი: 50 თეთრი

# რა ხდება „ოცნებაში“ — კლანური ბრძოლები თუ შეცდომების გამოსწორება



გვ.3

## ია ანთაძე: „დღეს მედიამ გაუსწრო პოლიტიკურ პარტიებს“



## ნაციონალებს 205 პატიმარი გაექცათ

„ყოფილი ხელისუფლების თითქმის ყველა წარმომადგენელმა დაგმო სასამართლოდან პატიმრის გაქცევა. ეს სასიამოვნო ფაქტი არ არის, მაგრამ უმჯობესი იქნება თუ ნაციონალები ჯერ მათი მმართველობის ხანაში გაქცეულ პატიმრებს დაითვლიან“



გვ.2



## რატომ შეცვალა „ოცნებამ“ მაჟორიტარობის კანდიდატი



გვ.2

„სანამ პრემიერი კანდიდატად დამასახელებდა, მანამდე იყო საუბარი, რომ მე ვიქნებოდი სიაში და კანდიდატი იქნებოდა წილოსანი, მაგრამ მაშინ რაღაცები შეიცვალა და, როგორც ვიცი, წილოსანი ოჯახური სიტუაციის გამო ვერ დააყენეს. ამიტომ, მე მთხოვეს, რომ კენჭი მეყარა“

## „განათლების მინისტრმა აღიარა, რომ განათლების სამინისტრომ შეცდომები დაუშვა“



გვ.4

ალექსანდრე ჯეჯელავა გამომცემლებს შეხვდა





## პეტრე მამრაძე: „ხაინდრავას ფილმმა შეიძლება უკურეაქცია გამოიწვიოს“

„3 თვის განმავლობაში ამ ფილმის კონსულტანტი ვიყავი“



გვ.3

## ამომრჩეველთა ერთიან სიაში 3.510.514 ამომრჩეველია რეგისტრირებული



გვ.2



გვ.2

გია ცაგარეიშვილი: „წასულების ადგილს ბევრად უკეთესი ადამიანები იკავებენ“

ISSN 1987-9385



გვ.2

## ლევან იზორია: „ნატო მზად არის, საქართველოს თავდაცვისუნარიანობის კუთხით მხარდაჭერა გააძლიეროს“

# ნაციონალებს 205 პატიმარი გაექცათ

შორენა მარსაგიშვილი



წინა კვირას რუსთავის სასამართლოდან პატიმარი გაიქცა. ამ ფაქტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. განსაკუთრებული პროტესტი ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა გამოთქვეს. მათი განმარტებით, ასეთი რამე მხოლოდ ისეთ უსუსურ ხელისუფლებას შეიძლება მოსვლოდა, როგორიც „ქართული ოცნება“.

ნაციონალების შეფასებას სასაცილოდ მიიჩნევს უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე.

მისი განცხადებით, ნაციონალების მმართველობის ხანაში 200-ზე მეტი პატიმარი გაიქცა.

– ყოფილი ხელისუფლების თითქმის ყველა წარმომადგენელმა დაგმო სასამართლო დარბაზიდან პატიმრის გაქცევა. ეს სასიამოვნო ფაქტი არ არის, მაგრამ უმჯობესი იქნება თუ ნაციონალები ჯერ მათი მმართველობის ხანაში გაქცეულ პატიმრებს დაითვლიან, – ამბობს მჟავანაძე.

ყოფილ ხელისუფლებას ყველაზე მეტი პატიმარი ხონის კოლონიიდან 2008 წლის 8 აგვისტოს გაექცა. საუბარია 152 მსჯავრდებულზე.

– მე ხელთ მაქვს ოფიციალური დოკუმენტები, თუ რამდენი პატიმარი გაიქცა ნაციონალების დროს. მათი მმართველობის ხანაში 14-ჯერ მოხდა გაქცევა. საერთო ჯამში გაიქცა 205 პატიმარი. მკითხველს შეუძლია თავად გაეცნოს ამ სტატისტიკას. მონაცემების გაცნობის შემდეგ ხალხს დასკვნების გაკეთება არ გაუჭირდება, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში მჟავანაძე.

პატიმრების გაქცევის სტატისტიკა კი ასეთია:

– 1. 14. 06.04. №8 გეგუთის დაწესებულებიდან 41 მსჯავრდებული ჯგუფურად გაიქცა;

2. 13.06.05 კასპის რაიონის სოფელ აღაიანის ტერიტორიიდან განსასჯელი გ. ხ. ბადრაგირებისას გაიქცა;

3. 03.05.06 მსჯავრდებული შ. გ. თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან გაიქცა;

4. 06.09.07 მსჯავრდებული რ.ფ. თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან გაიქცა;

5. 10.01.08. 5 საპყრობილის რიცხულმა პატიმარმა მ. ბ. ბადრაგირებისას მოახდინა გაქცევა;

6. 15.09. 10. თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოდან ბრალდებული თ. რ. გაიქცა;

7. 07.07.05. ბრალდებულები თ.თ, ა.შ, ჯ.ც., კ.გ., და კ.ხ. გაქცევა მოხდა;

8. 17.06.05. №5 საპყრობილიდან გაიქცა გ.ა.;

9. 27.08.05. თბილისის სამხედრო კლინიკური ჰოსპიტალიდან გაქცევა მოახდინა თბილისის №1 საპყრობილიდან გადაყვანილმა პატიმარმა რ.ბ.;



10. 03.02.07 თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში განთავსებული პატიმარი გ.ხ. გაიქცა;

11. 14.11. 08 გ. ბ. დაკავების ადგილიდან გაიქცა;

12. 23.04.10. არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულებიდან მსჯავრდებული გ. თ. გაიქცა;

13. 12.08.08. №9 ხონის დაწესებულებიდან 152 მსჯავრდებული ჯგუფურად გაიქცა;

14. 29.08.05 მსჯავრდებული ლ. კ. თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან გაიქცა.

– სტატისტიკა საკმაოდ შთამბეჭდავია. 200-ზე მეტი პატიმარი გაექცათ ციხიდან და ამის შესახებ საზოგადოებამ არაფერი იცოდა. მათ მიერ კონტროლირებადი მედია ამას, ცხადია, არ გააშუქებდა, სამაგიეროდ, ახლა ერთი პატიმრის გაქცევაზე ყვირიან, – აღნიშნავს მჟავანაძე.

უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ ნაციონალები შეგნებულად ებრძვიან კახი კახიშვილს.

– ამ ადამიანმა ციხე გააადამიანურა და ამაზე ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია საუბრობს. გაერო, ევროსაბჭო, ევროკავშირი, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი. ყველა მათგანი დადებითად აფასებს სასჯელაღსრულების სისტემაში მიმდინარე პროცესებს, რაც კახიშვილის დამსახურებაა.

ნაცებს ამის აღიარება არ უნდათ და ცდილობენ, ამ ადამიანს ჩირქი მოსცხონ. ამიტომ დაიხვიეს ხელზე ერთი პატიმრის გაქცევის ამბავი. ეს სასიამოვნო ფაქტი არ არის, მაგრამ ნაციონალებს ურჩევნიათ, მათ დროს გაქცეული პატიმრები დაითვალონ, – ამბობს უფლებადამცველი.

# რატომ შეცვალა „ოცნებამ“ მაჟორიტარობის კანდიდატი

შორენა მარსაგიშვილი

დღეს, 8 სექტემბერს, „ქართული ოცნება“ საარჩევნო სიას წარმოადგენს. სიის წარდგენამდე ერთი დღით ადრე კი მმართველმა პარტიამ ლანჩხუთი-ჩოხატაურის ოლქში მაჟორიტარობის კანდიდატი შეცვალა.

„ახალი თაობა“ უკვე წერდა იმის შესახებ, რომ „ოცნება“ ამ ოლქში კანდიდატის, თემურ ჭკუასელის შეცვლას აპირებდა. მმართველ გუნდში ამის მიზეზად მის უკიდურესად დაბალ რეიტინგს ასახელებდნენ. არადა 4 წლის წინ ის გურულებმა მაჟორიტარად დიდი ზარზეიმით აირჩიეს.

4 წლის შემდეგ ერთ-ერთ შეხვედრაზე მას მოსახლეობამ ვაშლები ესროლა. ამ ინციდენტის შემდეგ „ოცნება“ შემცვლელის მოსაძებნად აქტიურად გაისარჯა.

ჟურნალისტებთან საუბარში ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფდნენ ჭკუასელიც და „ოცნებაც“.

ეს ინფორმაცია ოფიციალურად მხოლოდ გუშინ, 8 სექტემბერს, დაადასტურეს. თემურ ჭკუასელს თუ დავუჯერებთ, მას არც უნდა ეყარა კენჭი მაჟორიტარად.

– სანამ პრემიერი კანდიდატად დამასახელებდა, მანამდე იყო საუბარი, რომ მე ვიქნებოდი სიაში და კანდიდატი იქნებოდა წილოსანი. მაგრამ მაშინ რაღაცები შეიცვალა და, როგორც ვიცი, წილოსანი ოჯახური სიტუაციის გამო ვერ დააყენეს. ამიტომ, მე მთხოვეს, რომ კენჭი მეყარა. თუმცა, გუშინ, პოლიტსაბჭოს სხდომაზე პრემიერმა ისევ მთხოვა, რომ გადამენაცვლებინა პროპორციულ სიაში და ჩემ ნაცვლად კანდიდატად წილოსანს წარადგენდნენ, – აღნიშნა მედიასთან საუბარში ჭკუასელმა.



მისი შემცვლელი ნინო წილოსანი ერს „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა კახი კალაძემ წარუდგინა.

როგორც წარდგენისას კალაძემ აღნიშნა, ნინო წილოსანი არის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის მაგისტრი, გავლილი აქვს ეკონომიკის კურსი ოქსფორდის უნივერსიტეტში, წლების განმავლობაში იყო ვაგონშემკეთებელი ქარხნის საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების უფროსი, დღეს კი ამ კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა.

– ნინო წილოსანს, ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, სერიოზული გამოცდილება აქვს საერთაშორისო ეკონომიკური მიმართულებით, არის სამი შვილის დედა. ნინო ლანჩხუთელია და კარგად იცნობს რაიონის მოსახლეობა. დარწმუნებული ვარ, იგი წარმატებული მაჟორიტარი იქნება, – აღნიშნა კახი კალაძემ.

კალაძის განმარტებით, თემურ ჭკუასელი გუნდის წევრად რჩება და ის იქნება საპარლამენტო სიაში.

## ლევან იზორია: „ნატო მზად არის, საქართველოს თავდაცვისუნარიანობის კუთხით მხარდაჭერა გააძლიეროს“



საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია ნატოს გენერალურ მდივანს იენს სტოლტენბერგს შეხვდა.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ ლევან იზორიამ ჟურნალისტებს განუცხადა, საქართველოში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ვიზიტი არის უმნიშვნელოვანესი ფაქტი.

მისი თქმით, ეს არის ვარშავის სამიტის შემდეგ ჩრდილოატლანტიკური საბჭოს პირველი საგარეო ვიზიტი, რაც ხაზს უსვამს იმას, რომ ნატო მხარს უჭერს იმ რეფორმებს, იმ წარმატებას, რომელსაც ქვეყანამ მიაღწია და ნატო მზად არის საქართველოს თავდაცვისუნარიანობის კუთხით მხარდაჭერა გააძლიეროს.

– ნატო უფრო მეტად არის საქართველოში თავისი შესაძლებლობებით, თავისი წვრთნებით, პროგრამებით, რაც შესაძლებელს ხდის, გაიზარდოს ჩვენი თავდაცვისუნარიანობა, ნატოს სტანდარტებთან თავსებადობა, – განაცხადა ლევან იზორიამ.

მისივე თქმით, დღევანდელ შეხვედრაზე მან ნატოს გენერალურ მდივანს მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პარტნიორებთან ერთად მომზადდა 4-წლიანი სტრატეგიის გეგმა, რომლის განხილვაც ახლო მომავალში უწყებათაშორის ფორმატში დაიწყება და შემდეგ მისი განხილვა უფრო ფართო ფორმატში გაგრძელდება.

## ამომრჩეველთა ერთიან სიაში 3.510.514 ამომრჩეველია რეგისტრირებული




ცესკო-ს სპიკერ ანა მიქელაძის განცხადებით, 12 აგვისტოს მდგომარეობით, ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრირებულია 3.510.514 ამომრჩეველი.

როგორც მიქელაძემ 7 სექტემბერს ბრიფინგზე განაცხადა, ცესკო-ს მიერ შეთავაზებული ამომრჩეველთა მონაცემების გადამოწმების სერვისებით 10 ივნისიდან დღემდე 719.499-მა ამომრჩეველმა ისარგებლა.

– დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ და მიიღონ არჩევნებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია, – განაცხადა ანა მიქელაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

## გია ცაგარეიშვილი: „წასულების ადგილს ბევრად უკეთესი ადამიანები იკავებენ“



„ირაკლი ალასანია – თავისუფალი დემოკრატები“ 200 ადამიანისგან შემდგარ პარტიულ სიას საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 8 სექტემბერს წარადგენს.

როგორც 7 სექტემბერს პრესკონფერენციაზე პარტიის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა გიორგი ცაგარეიშვილმა განაცხადა, ეს იქნება ფაქტობრივად ახალი ეტაპი თავისუფალი დემოკრატების წინასაარჩევნო სამზადისსა და ბრძოლაში.

როგორც გიორგი ცაგარეიშვილმა განაცხადა, იყო შესაძლებლობა შედგენილიყო სია არა უმცირეს 100 და არა უმეტეს 200 ადამიანისა, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ იყო ბევრი მსურველი, გამგეობაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება, სია მაქსიმალური რაოდენობით ყოფილიყო წარდგენილი.

– თავისუფალი დემოკრატების სიის ფორმირებისას ბევრ დეტალს მიექცა ყურადღება, მათ შორის პარტიის დაპირებას, რომ რაც შეიძლება მეტი ქალბატონი ყოფილიყო სიაში წარმოდგენილი.

ჩვენი სია ამ თვალსაზრისით იქნება უპრეცედენტო. 200 წევრიდან სამოცზე მეტი ქალბატონია წარმოდგენილი პარტიულ სიაში. ყოველ ათეულში ჩვენ გვეყოლება სამი ქალბატონო და უფრო მეტიც. ჩვენი ვალდებულება, რომელიც ერთი წლის წინათ გავეცით და გპირდებოდით, რომ ქალბატონები იქნებოდნენ წარმოდგენილნი სიაში მოწინავე პოზიციებზე, სრულად შევასრულეთ, – განაცხადა გიორგი ცაგარეიშვილმა.

მისივე თქმით, პარტიამ მოიცვა სრულიად საქართველო, ფაქტობრივად, ყველა კუთხე, რაიონი და, რა თქმა უნდა, დედაქალაქი. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ახალგაზრდებზე.

გიორგი ცაგარეიშვილმა ასევე ისაუბრა პარტიის სიის პირველ ოცეულში განხორციელებულ ცვლილებებზე.

– ჩვენ გარკვეული სახის ცვლილება განვახორციელეთ პირველ ოცეულში და სიის მეცამეტე ნომერი დაეთმო ქალბატონ ნათია კუტივაძეს, ცნობილ ეკონომისტს, ფინანსისტს, რომელიც ჩვენი თანამებრძოლია და ჩვენი ეკონომიკური პროგრამის თანაავტორია დავით ონოფრიშვილთან ერთად. იყო გარკვეული ცვლილებები სიის ფორმირების პროცესში თავისუფალ დემოკრატებში, წასულების ადგილს ბევრად უკეთესი ადამიანები იკავებენ. მინდა მივესალმო იმ ახალ ადამიანებს, რომლებიც მოდიან პარტიაში და იკავებენ ახალ ადგილებს. იმედი გვაქვს, რომ მომავალში არა ერთი საინტერესო ახალი ადამიანი გამოჩნდება თავისუფალ დემოკრატებში, – განაცხადა გიორგი ცაგარეიშვილმა.

მისივე თქმით, დაცულია კანონის ის ნორმა, რომელიც ავალდებულებს არჩევნებში მონაწილეებს, შევსებული ჰქონდეთ დეკლარაციები.

– რა თქმა უნდა, პირობა, რომელიც ითვალისწინებდა ნარკოტესტის გავლას, ასევე, დაკმაყოფილებულია. ჩვენ გვაქვს სუფთა სია, არავისთვის არაფერს არ ვმალავთ და მოვუწოდებთ სხვა პარტიებს, მოიქცნენ ზუსტად ისე, როგორც ამ შემთხვევაში თავისუფალი დემოკრატები იქცევიან, – განაცხადა გიორგი ცაგარეიშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რა ხდება „ოცნებაში“ — კლანური ბრძოლები თუ შეცდომების გამოსწორება

## ია ანთაძე: „დღეს მედიამ გაუსწრო პოლიტიკურ პარტიებს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მედიაექსპერტი **ია ანთაძე** პასუხობს.

***— ია, რუსთავი 2-ის თემა აქტუალურობას არ კარგავს. ირაკლი ოქრუაშვილი აცხადებს, რომ ქიბარ ხალვაშის სახელით ტელეკომპანია შეიძინა. ოქრუაშვილი ხელისუფლებასაც ღიად უპირისპირდება. რამდენად რეალურია ის, რასაც ოქრუაშვილი ამბობს?***

— ჩემთვის ძნელი სათქმელია, ახლა რასთან გვაქვს საქმე. იმიტომ, რომ სიმართლე იცის სულ რამდენიმე ადამიანმა. მე ამ პროცესის ჩვეულებრივი დამკვირვებელი ვარ. ახლოვდება დრო, როცა რუსთავი 2-ის საკითხი უნდა გადაიჭრას და ვხედავთ ახალ გარემოებებს, რაც სრულებით არ მაკვირვებს.

***— რატომ არ გაკვირვებთ?***

— იმიტომ, რომ რუსთავი 2-ის საკითხი არის სერიოზული საკითხი, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს სერიოზული შეშფოთება საზოგადოებაში, განსაკუთრებით არჩევნების წინ. ეს შეიძლება საშიში იყოს ქვეყნისთვის. ირაკლი ოქრუაშვილი არის ახალი გარემოება, შესაძლებელია კიდევ სხვა გამოჩნდეს, მაგრამ ასე იქნება თუ ისე იქნება, უახლოეს თვეებში უნდა გადაწყდეს, ვის მფლობელობაში იქნება ეს ტელეკომპანია.

***— საუბრობენ იმის შესახებაც, რომ ეროსიმაც კარგად იცოდა ეს სიმართლე, ფულიც აიღო, რომ ხელისუფლებას დახმარებოდა და რომ ვერ მოახერხა, ამიტომაც მოიკლა თავიო.***

— ამაზე ვერაფერს გეტყვით. ეს საკმაოდ აქტუალური თემაა და ძალიან ბევრი გამოხმაურება შეიძლება მოჰყვეს. შორიდან კი ძნელია მიხვდე, სად არის სიმართლე და სად სიცრუე. თვითონ პროცესის განვითარება გამოაჩენს, ვის რა ბერკეტები აქვს ხელში. სერიოზული ბრძოლა რომ მიდის ამ ტელევიზიისთვის, ამაში ეჭვი არავის ეპარება.

***— არჩევნებამდე ზუსტად ერთი თვე დარჩა და რამდენად ჯანსაღი პროცესი მიმდინარეობს იგივე მედიადამოუკიდებლობის კუთხით?***

— მედიის თვალსაზრისით, საარჩევნო გარემო არის უპრეცედენტოდ კარგი. თუკი ავიღებთ სხვა წლებში საპარლამენტო არჩევნებს, საპარლამენტო არჩევნები ყოველთვის იწვევდა დიდ ვნებათაღელვას ტელევიზიებში. ტელევიზია არის ის ფაქტორი, რომელმაც უნდა განაპირობოს ინფორმირებული არჩევანი. ეს შეიძლება აწყობდეს მხოლოდ ისეთ ხელისუფლებას, რომელსაც დემოკრატიის პრინციპები ღრმად აქვს გააზრებული. იმიტომ, რომ ხელისუფლება თუ ცდილობს, რომ აუცილებლად შეინარჩუნოს ხელისუფლება, ძალაუფლება და ასე შემდეგ, მას ასეთი ინფორმიერებული არჩევანი ნამდვილად არ სჭირდება.

***— აბა რა სჭირდება?***

— მას სჭირდება სხვა ბერკეტები იმისთვის, რომ ადამიანები წავიდნენ და ხმა მისცენ არა იმის საფუძველზე, რას ელოდებიან პარტიებისგან, არამედ სხვა რამის საფუძველზე. ამიტომ, დღეს, როდესაც ჩვენ გვაქვს ბევრი ტელევიზია, როდესაც ჩვენ გვაქვს ხელმისაწვდომობა ინტერნეტზე, როდესაც ჩვენ გვაქვს ძალიან აქტიური სოციალური ქსელი, როდესაც ჩვენ გვაქვს ციფრული მაუწყებლობა, რომელიც ყველას აძლევს საშუალებას, თუ აქვს რესურსი, თავისი საკუთარი მაუწყებლობა მოიწყოს, ინფორმირებული არჩევანი აღარ არის პრობლემა და ეს არის დიდი სიახლე ჩვენი სატელევიზიო სივრცისა და წინასაარჩევნო გარემოსთვის.

***— ტელევიზიებში გადაადგილებებიც ხომ მოხდა?***

— რასაკვირველია, იყო ტელევიზიებში გადაადგილებები, მაგრამ ეს უფრო ეხებოდა ჟურნალისტებს, ვიდრე მფლობელებს, თუმცა გარემო მთლიანობაში მაინც არის ძალიან მოსახერხებელი და კარგი, როგორც ჟურნალისტებისთვის, ისე მაყურებლისთვის, რომელსაც შეუძლია ნებისმიერი სახის ინფორმაცია მიიღოს რომელიმე არხზე.



***— პოლიტიკური პარტიების საქმიანობა არაეფექტურია. გვიანდება სიები, საარჩევნო პროგრამები. რატომ?***

— დიახ, პროგრამები ნამდვილად გვიანდება და მე ისევ მედიას დავუბრუნდები. ახლა არის პირველი არჩევნები, როდესაც არაერთი გადაცემა და არაერთი ტელევიზია არის დაინტერესებული, რომ პროგრამული ხედვები შესთავაზოს ამა თუ იმ პარტიამ საზოგადოებას და თავის მაყურებელს. განსაკუთრებით ამიტომ ჩანს, რომ პროგრამები გვიანდება. შესაძლებელია, თვითონ მედია რომ არ იყოს მოწადინებული, რომ პროგრამულად გააშუქოს წინასაარჩევნო პერიოდი, შეიძლება ასეთი ნათელი არ ყოფილიყო, რომ პარტიები აგვიანებენ პარტიული ხედვების გამოქვეყნებას.

***— მედიის აქტიურებას აბრალებთ პოლიტიკურად მდორე პროცესს?***

— დიახ, მედიის გახსნილობის გამო, ეს პროცესი შენელდა. დღეს მედიამ გაუსწრო წინ პოლიტიკურ პარტიებს და მედია უფრო ადრე ითხოვს იმას, რის მიცემაც ამ ეტაპზე პოლიტიკურ პარტიებს არ შეუძლიათ. თუმცაღა, უახლოეს დღეებში, ვინც კი აპირებს, რომ პროგრამა გამოაქვეყნოს, ყველა უკვე გამოაქვეყნებს. ჩვენც მეტი საშუალება გვექნება ვნახოთ, რითი განსხვავდება ან რითი ჰგავს სხვადასხვა პარტიის პროგრამა ერთმანეთს.

***— კულუარებში ვრცელდება ინფორმაციები, რომ ბიძინა ივანიშვილი იმედგაცრუებულია „ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიით და ამ უკმაყოფილებას არც მალავს. ამას ბევრი იმითაც ხსნის, რომ იცვლებიან „ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები. ამაზე რას იტყვით?***

— ბიძინა ივანიშვილს ღიად არსად უთქვამს, რომ უკმაყოფილოა. პირიქით, პრემიერ-მინისტრს ყოველთვის აქებს და ამბობს, რომ ეს არის ის ადამიანი, რომელიც სჭირდება ქვეყანას. ის, რომ იცვლება რაღაცა წინასაარჩევნოდ, ერთი მხრივ ნაკლია პარტიის, რომ თავიდან რაღაცა ვერ გათვალა, მაგრამ მეორე მხრივ დიდი პლუსია.

***— რა არის პლუსი, კანდიდატებს რომ ცვლიან?***

— დიახ, იმიტომ, რომ ჩვენთან პარტიები, როგორც ყოველთვის, ცდილობდნენ, სისუსტეები არ ეჩვენებინათ, განსაკუთრებით არჩევნების წინა პერიოდში. მე კიდევ მგონია, რომ გრძელვადიანი შედეგი, რომელიც შესაძლებელია უკეთესი იყოს ასეთი ცვლილებების შემდეგ, ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე გაჯიუტება არასწორ არჩევანში და საბოლოოდ ისეთი შემადგენლობის მიღება პარლამენტში, რომელიც არ გამოადგება ქვეყანას.

ის, რაც შესაცვლელია, ახლავე უნდა შეიცვალოს. თუმცა ეს არ ეხება მარტო ერთ პარტიას, ან თუნდაც მარტო „ქართულ ოცნებას“. შეცდომაში გაჯიუტება არის ბევრად უარესი, ვიდრე შეცდომის გამოსწორება. ის, რომ პარტიას უჩნდება სურვილი, შეცდომები გამოასწოროს, პოლიტიკური კულტურის მაჩვენებელია.

***— თუმცა სულ სხვა ინფორმაციები გამოდის, რომ კლანური დაპირისპირებაა შიგნით და ეს პროცესიც ამის ნაწილია. ხედავთ მსგავს პროცესს?***

— შეიძლება ესეც არის. ჩვენ შედეგების მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ. თუ დავინახავთ, რომ ახალი კანდიდატები ბევრად საინტერესო არიან, ვიდრე ძველები, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ მოძებნეს თავის თავში ძალა და დროულად გამოასწორეს შეცდომები. თუ ერთი კლანის წარმომადგენლებს მეორე კლანის წარმომადგენელი ჩაენაცვლება, ეს ყველა შემთხვევაში ძალიან ცუდია ყველასთვის. შეცდომების გამოსწორება ხდება თუ ბრძოლაა კლანებს შორის, ამას დავინახავთ იმის მიხედვით, თუ რა ცვლილებები იქნება, თუნდაც მაჟორიტარ კანდიდატებთან დაკავშირებით.

# პეტრე მამრაძე: „ხაინდრავას ფილმმა შეიძლება უკურეაქცია გამოიწვიოს“

## „3 თვის განმავლობაში ამ ფილმის კონსულტანტი ვიყავი“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილ წევრ **პეტრე მამრაძეს** მიაჩნია, რომ ქართველ ხალხს უნდა ახსოვდეს ის, რაც ნაცმოძრაობამ დაატეხა თავს ქვეყანას.

***— ბატონო პეტრე, თქვენზე თუ ახდენს რაიმე გავლენას ფილმი, რომელიც გოგა ხაინდრავამ გადაიღო ნაცრეჟიმის პერიოდზე?***

— ფილმის მხოლოდ დასაწყისი ვნახე.



***— საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობაა, იყო თუ არა საჭირო ამგვარი ფილმის გადაღება. ზოგადად, არის თუ არა საჭირო, საზოგადოებას ახსოვდეს ის, რაც ჩაიდინა ნაცმოძრაობამ?***

— აუცილებლად უნდა გვახსოვდეს.

***— რატომ?***

— თაობებს უნდა ახსოვდეთ და ასეთი ეროვნული მეხსიერების გარეშე საბოლოოდ ვერ შედგება ჩვენი ეროვნული სახელმწიფო.

***— ზოგი ამბობს, რომ ეს უკან ყურებას ნიშნავს და არა წინსვლას.***

— გერმანიაში სკოლებშიც ასწავლიან იმას, რაც მოხდა და მუზეუმებიც არის შესაბამისი. პატარა ბავშვებს (კანონით რეგლამენტირებულია და მომზადებულია ფსიქოლოგების მიერ) ასაკის შესაბამისად ისეთ დოკუმენტურ ფილმებს აჩვენებენ, რისი ჩვენებაც შეიძლება და საჭიროც არის. ექსკურსიებზე დაჰყავთ საკონცენტრაციო ბანაკებში, სადაც მუზეუმებია. მე არ შემხვედრია გერმანიის არც ერთი მოქალაქე, ვისაც ეს ცოდნა და მეხსიერება არ აქვს. მათ შორის, ისინიც, ვინც 21-ე საუკუნეშია დაბადებული.

***— გოგა ხაინდრავას ფილმი გადაღებულია დოკუმენტურ მასალებზე. თუმცა, ზოგს იმის გახსენება არ უნდა.***

— მე 3 თვის განმავლობაში გახლდით კონსულტანტი. 3 თვეში ჩავტიე მთელი ჩემი ცოდნა, რაც დამიგროვდა სააკაშვილის რეჟიმზე.

***— რა კონსულტაცია გაუწიეთ?***

— მე მათ მივაწოდე ინფორმაცია არა მხოლოდ ნაცების მიერ ჩადენილ იმ დანაშაულზე, რაც ვიცოდი, არამედ ვუხსნიდი, სააკაშვილის სადისტური სისტემისა და ავტორიტარული, კლეპტოკრატიული რეჟიმის არსს, რასაც წლების განმავლობაში ვაანალიზებდი.

***— როგორც ვიცი, უცხოელები და ელჩებიც გაწვდიდნენ ინფორმაციას.***

— დიახ, უცხოელებისგანაც ვღებულობდი ინფორმაციას და საჯარო სამსახურებში მომუშავე ადამიანებისგანაც. მათ სჯეროდათ ჩემი, რადგან მე არსად ვიტყვი მათ გვარებს.

***— ზოგიერთ პარტიას, რომელიც დღეს საარჩევნო კამპანიაშია ჩართული, არ მოსწონს ამ ფილმის ახლა ჩვენება. ფილმის ახლა ჩვენება პრობლემებს ქმნის?***

— წლების წინ, ჯერ ვარდების რევოლუციამდე, გოგა ხაინდრავამ გადაიღო ფილმი „დამსხვრეული ოცნებები“ აფხაზეთის ომზე. ეს ფილმი არა მხოლოდ დაჯილდოებულია საერთაშორისო ფესტივალებზე, არამედ აფხაზები სოხუმშიც აჩვენებდნენ, ვინაიდან ფილმში რეჟისორი დამნაშავეებს კი არ ეძებს, არამედ ღრმად აანალიზებს იმას, რაც მოხდა.

***— ამ ფილმში დამნაშავეებს ეძებს?***

— მე ფილმი არ მინახავს, როცა მოვიცლი, აუცილებლად ვნახავ, მაგრამ აფხაზეთის შესახებ გადაღებული გოგა ხაინდრავას ფილმი სააკაშვილსა და მის თანაგუნდელებს რომ ენახათ და სწორი დასკვნა გაეკეთებინათ, 2008 წლის აბსურდული ომი არ მოხდებოდა.

***— სააკაშვილსა და მის თანაგუნდელებს აფხაზეთში მომხდარი ისტორიული კატასტროფის გაანალიზების უნარი ან სურვილი ექნებოდათ?***

— ამიტომ ვამბობ, ფილმი „დამსხვრეული ოცნებები“ რომ ენახათ და სწორი დასკვნები გამოეტანათ (შეიძლება ნახო და საპირისპირო დასკვნა გამოიტანო), მაშინ არც აგვისტოს ომი მოხდებოდა, არც აფხაზეთსა და ცხინვალში რუსული ბაზები იქნებოდა და ვერც რუსეთი ცნობდა მათ ე.წ. დამოუკიდებელ სახელმწიფოებად.

***— რა როლს ითამაშებს ახლანდელი ფილმი ჩვენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში?***

— იმედი მაქვს, ეს ფილმი დიდ წვლილს შეიტანს. დოკუმენტურ ვიდეომასალას უფრო დიდი ძალა აქვს, ვიდრე დაწერილ ტექსტს.

***— ნაცმოძრაობის რეიტინგი ამით დაეცემა თუ არა?***

— ნაციონალების რეიტინგი, რომელიც 10-12%-ია, არ დაეცემა. მათი ელექტორატი როგორიც იყო 2012 წელს, იგივე დარჩა, მაგრამ მოსახლეობის ნაწილში შეიძლება უკურეაქცია იყოს.

***— რა კუთხით?***

— მოსახლეობამ 2012 წელს ბიძინა ივანიშვილი და „ოცნება“ დიდი იმედით აირჩია, რომ აღდგებოდა სამართლიანობა და დაისჯებოდნენ დამნაშავეები.

***— სამართლიანობა ზოგისთვის ხომ აღდგა, ზოგი დამნაშავე ხომ დაისაჯა? ზოგიერთი, ალბათ, დაისჯება მომავალში.***

— კი, მაგრამ ძალიან ბევრი ადამიანის აზრით, ამ ოთხ წელიწადში ხელისუფლებამ ძალიან ცოტა გააკეთა. ამიტომ საერთო აზრია, რომ სამართლიანობა არ აღადგინეს. ხალხში ასეთი საუბრები მესმის — თვითონ არ გააკეთეს არაფერი, სამართლიანობა არ აღადგინეს, ზოგი დამნაშავე დააწინაურეს. ეს მართლა ასეა — ამის თაობაზე ყოფილმა პროკურორმა კბილაშვილმა ილაპარაკა, ბევრი ადამიანი, ვინც ციხეებში ხალხს აწამებდა, თანამდებობაზე დარჩა, ზოგი დაწინაურდა კიდეც. ვახტანგ მაისაიამ პირდაპირ ხელი დაადო ადამიანებს, რომლებიც მას აწამებდნენ და მერე ქოცების დროს დაწინაურდნენ. ხალხი ამბობს, სამართლიანობა არ აღადგინეს და ახლა ჩვენი მიმხრობა იმის ჩვენებით უნდათ, რა ცუდი იყვნენ ნაციონალები.

***— ნაციონალები ცუდები არ იყვნენ?***

— ნაციონალები რომ ცუდები იყვნენ და დანაშაულს ჩადიოდნენ, უნდა დაესაჯათ. რომ არ დასაჯეს, მათთან შეკრული გამოდიან.

***— გარკვეული ლიდერები ხომ დასაჯეს, მერაბიშვილი და სხვები? სააკაშვილს დაუსწრებლად ასამართლებენ.***

— 200-300 ადამიანიდან 10-ს რომ დასჯი, ეს ძალიან ცოტაა. მთავარი დამნაშავეები, სააკაშვილი და ადეიშვილი, კეზერაშვილი ადვილად წავიდნენ საქართველოდან. კეზერაშვილი რომ დააკავეს საფრანგეთში, ქოცების პროკურატურამ ერთი გრამი ქაღალდი არ წარუდგინა საფრანგეთის სასამართლოს.

***— ქოცების პროკურატურა კი არა ნაცების პროკურატურა იყო ქოცების ხელმძღვანელობით. ამიტომ ვერ მივიღეთ შედეგი.***

— ეს არის სიმბიოზი.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# სტოლტენბერგი: „საქართველოს ნატოში გაწევრიანებას რუსეთი ხელს ვერ შეუშლის“

## „ჩვენ გავაგრძელებთ თქვენს მხარდაჭერას და თქვენი იმედი გვაქვს“

– ჩვენ გავაფართოებთ ნატოს ყოფნას შავი ზღვის რეგიონში.

ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე გუშინ, 7 სექტემბერს, განაცხადა.

სტოლტენბერგის თქმით, ვარშავის სამიტზე მიღებული ამ გადაწყვეტილების კონტექსტში მნიშვნელოვანია დიალოგის წარმოება ალიანსის არაწევრ, პარტნიორ ქვეყნებთან – საქართველოსთან და უკრაინასთან.

– ჩვენ რუსული ყოფნის ზრდა ვიხილეთ შავი ზღვის რეგიონში, ასევე, ყირიმის ნახევარკუნძულის ინტენსიური მილიტარიზაცია. ნატომ გადაწყვიტა, აგვემაღლებინა ჩვენი ყოფნა შავი ზღვის რეგიონში. მანამდეც იყო ეს გადაწყვეტილება მიღებული, მაგრამ ჩვენ გავაძლიერებთ ჩვენს ყოფნას რეგიონში და შავი ზღვის აკვატორიაში, – განაცხადა ნატოს ხელმძღვანელმა.

გუშინვე ეინს სტოლტენბერგმა საქართველოს პრემიერ კვირიკაშვილთან ერთობლივი პრესკონფერენცია გამართა.



მასზე მას დაუსვეს კითხვა, თუ როდის შეიძლება მოხდეს საქართველოს ნატოში გაწევრიანება.

–მე ვერ დაგისახელებთ ზუსტ ვადებს, მაგრამ ვაღიარებ იმ პროგრესს, რომელიც ქვეყანამ მიაღწია და მაღალ შეფასებას ვაძლევ მჭიდრო ურთიერთობას ნატო-საქართველოს შორის, – ასე უპასუხა ამ კითხვას სტოლტენბერგმა.

მან აღნიშნა, რომ ნატო აგრძელებს მუშაობას საქართველოსთან რეფორმების განხორციელების მიმართულებით, რაც მისცემს ქვეყანას საშუალებას, დაუახლოვდეს ნატოს წევრობას.

– იმისთვის, რომ საქართველო ნატოს წევრი გახდეს, იგი უნდა აკმაყოფილებდეს სტანდარტებსა და წევრობის მოთხოვნებს, – განაცხადა ბ-მა სტოლტენბერგმა.

მისი თქმით, საქართველო გახდება ნატოს წევრი თუ არა, ეს არის ნატოს წევრი ქვეყნების გადასაწყვეტი და არც ერთ სხვა მხარეს არ გააჩნია აღნიშნულ პროცესში ჩარევის უფლება.

– ნატოს კარი ღიაა. მრავალჯერ მოხდა აღნიშნულის დემონსტრირება, მიუხედავად რუსეთის პროტესტისა, რომ მას ნატოს გაფართოების აღნიშნული პროცესი არ მოსწონს. ჩვენ ვაგრძელებთ გაფართოებას. 28-დან 29 წევრის მიმართულებით ვმოძრაობთ, რადგან მონტენეგრო 29-ე წევრი უნდა გახდეს, რაც იმის დემონსტრირებაა, რომ ნატოს კარი ღიაა გაფართოების მიმართულებით. აღნიშნული ეხება საქართველოსაც. ეს გადაწყვეტილება მივიღეთ ბუქარესტში და კიდევ ერთხელ დავადასტურეთ აღნიშნული გადაწყვეტილება ვარშავაში, – განაცხადა სტოლტენბერგმა.

მისი თქმით, ყველა მოკავშირე მიესალმება საქართველოს თავდაცვის სისტემის რეფორმას და საერთო პროგრესს.

– ჩვენ ველოდებით მომავალ არჩევნებს, რომელიც დააკმაყოფილებს უმაღლეს დემოკრატიული სტანდარტებს თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარების ჭრილში. რეფორმები კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს საქართველოს მოსახლეობისათვის, თქვენი ქვეყნის უსაფრთხოებისა და ეკონომიკური აყვავებისათვის, – განაცხადა სტოლტენბერგმა.

ნატოს გენერალურმა მდივანმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ნატოს ერთგულება და ვალდებულებები საქართველოს მიმართ.

– ჩვენ გავაგრძელებთ თქვენს მხარდაჭერას და თქვენი იმედი გვაქვს, – დასძინა სტოლტენბერგმა.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# „განათლების მინისტრმა აღიარა, რომ განათლების სამინისტრომ შეცდომები დაუშვა“

ნათია ხურცილავა

## ალექსანდრე ჯეჯელავა გამომცემლებს შეხვდა

გუშინ, 7 სექტემბერს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა გამომცემლობების ხელმძღვანელებს შეხვდა. განათლების სამინისტროში გამართულ შეხვედრას 20-მდე გამომცემელი ესწრებოდა.



**ალექსანდრე ჯეჯელავა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი:**

– პირველი შეხვედრა მქონდა გამომცემლებთან. ეს ხალხი ჩვენი საგანმანათლებლო სისტემის დასაყრდენი და ცენტრალური კომპონენტია. სამწუხაროდ, ჩვენი ურთიერთობა არ იყო ყოველთვის ერთგვაროვანი და მეგობრული. ამიტომ მე ვაპირებ, რომ ეს ვითარება შევცვალო და სხვა ჭრილში გადავიყვანო. ჩემი მიზანია, გამომცემლები განათლების სამინისტროს აქტიური გულშემატკივრები და მხარდამჭერები გახდნენ, ისედაც არიან, მაგრამ უფრო აქტიური იყოს თანამშრომლობის კუთხით. ამისთვის კი ჩვენც მოგვიწევს რაღაცების შეცვლა და მათაც მოუწევთ.

***– კონკრეტულად რას გვეტყვით ამ შეხვედრაზე?***

– ძალიან კონსტრუქციული შეხვედრა იყო. იმ გაგებით, რომ მთავარი, ძირითადი პოზიციები ორივე მხრიდან გამოითქვა. თუმცა, მთავარი და ყველას ინტერესი არის ის, რომ მოსწავლეებს კარგი სახელმძღვანელოები ჰქონდეთ.

***– შეთანხმება შედგა?***

– შეთანხმება შედგა იმაზე, თუ რას ვიზამთ სამომავლოდ. რამდენიმე დღეში კიდევ გვექნება შეხვედრა.

***– კონკურსთან დაკავშირებით თუ იყო საუბარი?***

– არა, ჯერ ამ საკითხზე ვერაფერს გეტყვით.

* * *

„ახალი თაობა“ გამომცემლობების ხელმძღვანელებსაც ესაუბრა.

**კახმეგ კუდავა, გამომცემლობა „ინტელექტის“ ხელმძღვანელი:**

– 4 წელია, რაც განათლების სამინისტროში შეხვედრა არ გვქონია. ამ შეხვედრაზე დადებითი განწყობა იყო, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, ჩვენი მოტყუება უკვე შეუძლებელია. შეხვედრა ორმხრივი უნდობლობის პირობებში მიმდინარეობდა. ჩვენ არ ვენდობით განათლების სამინისტროს და არც განათლების სამინისტრო გვენდობა ჩვენ. როგორც გაირკვა, გამომცემლობებისგან რევანშს ელოდებიან, რაც აბსურდია.

***– რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ წიგნები არ დავბეჭდოთ და მოსწავლეები წიგნების გარეშე დავტოვოთ. ბავშვები და სკოლა ჩვენთვის გაცილებით უფრო მაღალი ღირებულებაა, ვიდრე განათლების სამინისტროს მოხელეების ინტერესები. ამდენად, ეს შიში უსაფუძვლოა.

რაც შეეხება სტრასბურის სასამართლოში ჩივილს, რაც დიდად არ ხიბლავს განათლების სამინისტროს, ჩვენ ამ საქმეს აუცილებლად მოვიგებთ, რადგან საუბარია 22 მილიონ ევროზე. სტრასბურის სასამართლოში წასული გამომცემლობების მიმართ სხვა კატეგორიის აგრესია არსებობს. სხვა გზა არ დაგვიტოვეს და ამიტომ მივმართეთ ამ გზას.

განათლების მინისტრმა შემოგვთავაზა, წარსულზე არ ვისაუბროთ და მომავალზე გავაკეთოთ აქცენტი. თანახმა ვართ. თუმცა, განათლების მინისტრმა აღიარა, რომ განათლების სამინისტრომ შეცდომები დაუშვა და ამის აღიარება ჩვენთვის მნიშვნელოვანია. საკუთრება ყველა ქვეყანაში არის დაცული და ინტელექტუალური საკუთრება კიდევ ერთი საფეხურით მაღლა დგას.

***– გრიფირების წესთან დაკავშირებით გაქვთ პრეტენზიები?***

– გრიფირების წესში ყოველთვის ვითხოვდით, ამოღებული ყოფილიყო ე.წ. შაშკინის მუხლი, სადაც ეწერა თუ რა პირობებში შეუძლია დაბეჭდოს განათლების სამინისტრომ სახელმძღვანელოები. ეს მუხლი ამოიღო სამინისტრომ, მაგრამ ამ მუხლის შინაარსი სხვადასხვა მუხლებშია გაბნეული, რასაც გამადიდებელი შუშით ვუყურებთ, რადგან ნდობა გვაქვს დაკარგული. ავტორმა კარგი სახელმძღვანელო რომ დაწეროს, კარგი ჰონორარი უნდა გადაუხადო. ახლა ავტორებს 1 რეალიზებულ წიგნში 1 თეთრი ერიცხებათ, რაც დაცინვაა. ეს საკითხი ძალიან მკაცრად დავსვით.

***– რას ითხოვს თქვენგან განათლების სამინისტრო?***

– წიგნების ელექტრონული ვერსია მესამე პირს ჩაბარდეს. მოვნახოთ ისეთი ორგანიზაცია, რომელსაც თქვენც ენდობით და ჩვენცო. ჩვენ ვთავაზობთ, რომ გამომცემელთა ასოციაციის სეიფში იდოს ელექტრონული ვერსია.

მეორე საკითხი არის ის, რომ 4 წელია, რაც მე-7 და მე-12 კლასის არაქართულენოვანი მოსწავლეები არაგრიფირებული სახელმძღვანელოებით სწავლობენ. ამან გამოიწვია ის, რომ რუსეთიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან შემოვიდა იქაური წიგნები, საკუთარი თვალით ვნახე, სადგურის ტერიტორიაზე როგორ იყიდება ეს წიგნები. ასევე, არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებლის წიგნი არ შეუსყიდია განათლების სამინისტროს. მასწავლებელი დაავიწყდა განათლების სამინისტროს.



კახმეგ კუდავა

**თამარ ლებანიძე გამომცემლობა „დიოგენეს“ დირექტორი:**

– პროცესი მხოლოდ დაიწყო, ამდენად, შეთანხმებაზე ჯერ საუბარი ნაადრევია. იმედი მაქვს, რომ დეტალურად გავივლით ყველა საკითხს. სწორედ ამ პროცესის ბოლოს გვეცოდინება, დღევანდელი განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ვინ არის, ჯეჯელავა ნომერი 1 თუ შაშკინი ნომერი 3.



თამარ ლებანიძე

***– მინისტრთან შეხვედრაზე მთავარი აქცენტი რაზე იყო?***

– შეხვედრა ნეიტრალური იყო. მე ვცდილობ, წარსულის გამოცდილება გავითვალისწინო და არ ვიყო ზედმეტად ეჭვიანი.

***– რა არის მთავარი პრობლემა და როდიდან დაიწყო ეს პრობლემა?***

– შაშკინის მინისტრობის დროიდან დაიწყო ეს პრობლემა. ჩვენთან ურთიერთობის ძალიან არასწორი პრინციპები ჩაიდო. პროცესის მონაწილე არ ვიყავით. თუ ვქმნით ერთობლივ პროდუქტს და თანამშრომლობა გვინდა, მაშინ პროცესის მონაწილეც უნდა ვიყოთ თანაბრად ყველა ეტაპზე, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რაც არ ხდებოდა, იყო მხოლოდ მითითებები, რომლებიც უნდა შეგვესრულებინა.

ჯერ ეს არ შეცვლილა, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ შეიძლება შეიცვალოს. იმედი მაქვს, რომ ყველა დოკუმენტს გამოწვლილვით განვიხილავთ, რადგან არსებობს ძირითადი დოკუმენტის გარდა უამრავი დანართი და სწორედ ამ დანართებში შეიძლება იყოს ძაღლის თავი დამარხული.

***– რაც შეეხება კონკურსს, სადაც უნდა გამოვლინდეს გამომცემლობა, რომელიც სახელმძღვანელოებს დაბეჭდავს, თუ იყო ამაზე საუბარი შეხვედრაზე?***

– არა, ამ საკითხზე საუბარი არ ყოფილა, რადგან კონკურსი მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის მომზადდება დოკუმენტაცია და რა შინაარსის იქნება ეს დოკუმენტაცია.

***– სახელმძღვანელოს გრიფირების ახალ წესს გულისხმობთ?***

– დიახ, გრიფირების ახალ წესს ვგულისხმობ და ამასთან დაკავშირებულ პროცედურულ დოკუმენტებსაც. ჩვენ დავსვით შეკითხვები, რომლებიც ეხებოდა გრიფირების წესის მონახაზს, დაწყებული სახელმძღვანელოზე მუშაობითა და დასრულებული ფასების მატრიცით, ლიცენზირების უმნიშვნელოვანესი თემით.

„დიოგენეს“ მაგალითზე შემიძლია გითხრათ, რომ თუ ჩვენ დამაიმედებელ და გარანტიების შემცველ პასუხებს ვერ მივიღებთ, მაშინ ნამდვილად აზრი არ ექნება ამ პროცესში მონაწილეობას. მნიშვნელოვანია, რომ გარკვეული სამართლიანობის პრინციპი დაცული იყოს.

# წინა ხელისუფლების დროს წართმეული ქონება და კიდევ ერთი სასამართლო პროცესი სააქციო საზოგადოება „სავანე ღვინის №1 ქარხნის“ სასარგებლოდ

## დაუბრუნდება თუ არა ყაჩაღობის გზით წართმეული „ღვინის ქარხანა №1“ კანონიერ მესაკუთრეს?!

2016 წლის 6 სექტემბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 იანვრის განაჩენი, რომლის თანახმად საზოგადოება „სავანე ღვინის №1 ქარხნის“ ყოფილი დირექტორები თეიმურაზ კორტავა და ლევან დემეტრაძე ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას (ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების გამოყენება ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) და თაღლითობას ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით სხვისი ნივთის დაუფლებას ან ქონებრივი უფლების მიღებას გულისხმობს.



თეიმურაზ კორტავა

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, „2004 წელს სააქციო საზოგადოება „სავანე ღვინის №1 ქარხანაში“ შექმნილი იყო კატასტროფული მდგომარეობა და ყოფილი დირექციის, კერძოდ, ბატონ ლევან დემეტრაძის და თეიმურაზ კორტავას მიერ არამიზნობრივად იყო გაფლანგული ან მითვისებული დაახლოებით 1.5 მილიონი აშშ დოლარი, დამატებით ამ თანხის დაახლოებით 350 ათასი აშშ დოლარი“.

სააქციო საზოგადოება „სავანე ღვინის №1 ქარხნის“ იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელის, ადვოკატ ნანა წულაძის თქმით:

– აქციონერები სამართლიანობის აღდგენას ხელისუფლების შეცვლის დღიდან ელოდებიან და დღემდე უწევთ ბრძოლა იმისთვის, რომ წართმეული ქონება დაიბრუნონ. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია სამართლიანობის აღდგენის საქმეში. გაგვიჩნდა იმედი, რომ „სავანე ღვინის №1 ქარხნის“ საქმე ბოლოს და ბოლოს მივა ლოგიკურ დასასრულამდე და ერთ მშვენიერ დღეს, ყაჩაღობის გზით წართმეული ქარხანა კანონიერ მესაკუთრეს დაუბრუნდება.

შეგახსენებთ, რომ საქმე ეხება პეტრიაშვილის ქუჩა №1-ში მდებარე უძრავი ქონების მითვისებას, რომელიც სააქციო საზოგადოება „სავანე ღვინის №1 ქარხანას“ ეკუთვნოდა. დღეისთვის კი ეს ქონება წარმოადგენს მიმთვისებლების შპს „კატრის“ და მისი შვილობილი ორგანიზაციების საკუთრებას, რომელსაც დანაშაულის კვალის არევის მიზნით სახელი შეუცვალეს და ახლა შპს „ღვინის №1 ქარხანა“ ეწოდება.

– აღნიშნული ქონების გადაცემა უკანონოდ, უფრო სწორად, ყაჩაღობის გზით განხორციელდა. ამ ქმედების მონაწილენი კი არა რიგითი ადამიანები, არამედ სამართალდამცავები და ხელისუფლების წარმომადგენლები გახლდნენ.

გამოძალვის საქმეში პირადად იყვნენ ჩართულები „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატობის კანდიდატი ვლადიმერ კვარაცხელია, მხილებული მიხეილ უგულავა და საქართველოს ბანკის საკრედიტო განყოფილების ხელმძღვანელი ზაზა გრიგოლია. ამ ადამიანებმა მთელი რიგი უკანონო ქმედებები განახორციელეს – უკანონოდ დააპატიმრეს და გაიტაცეს ადამიანები, იძულებითი გზით მიიღეს მათგან მოგონილი ჩვენებები, აიძულეს ქონების უსასყიდლოდ გადაფორმება და სხვა. ამ დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად, „სავანე ღვინის №1 ქარხანამ“ და აქციონერებმა ვერ მიიღეს 3-მილიონიანი კომპენსაცია, არ დასაქმდა 1200 ადამიანი, ბიუჯეტმა ვერ მიიღო მილიონობით შემოსავალი აქციზის და სხვა გადასახადების სახით, არ განხორციელდა 35-მილიონიანი ინვესტიცია საქართველოს მეღვინეობაში, მეღვინეობის ფლაგმანი გაიძარცვა და გაპარტახდა ღვინის საცავები, გაქურდულია ღვინის მარაგი, მიღებული და მითვისებულ-გაფლანგულია დაახლოებით 13-მილიონიანი სესხი, – ნათქვამია აქციონერების განცხადებაში სააქციო საზოგადოება „ღვინის №1 ქარხანა სავანეს“ აქციონერთა საინიციატივო ჯგუფის საგანგებო განცხადებაში.

როგორც ცნობილია, თავის დროზე ღვინის ქარხანაში მიხეილ სააკაშვილისთვის მარნის მოწყობა იგეგმებოდა. ამჟამად 120 წლის ისტორიულ შენობაში რესტორანია განთავსებული.

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

## ობიექტი №1

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ„, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ„, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ„ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფ. გაგულეჩის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ლაჯანურის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 56 100 მ3 ).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფ. გაგულეჩის მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

8 008 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

800,8 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

4 204 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 9 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 8 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 8 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 8 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

4 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №2

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება განახორციელოს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ„ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

გ) წიაღისეულის მოპოვება განახორციელოს მხოლოდ კომპანია „BP საქართველოს„-სთან წინასწარ შეთანხმებული პროექტის შესაბამისად;

დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებული, ლიცენზიის მიღებიდან ერთი წლის შემდეგ მოახდინოს სალიცენზიო ტერიტორიის მდგომარეობის ხელახალი შესწავლა და ლიცენზიის მოქმედების პერიოდში განახორციელოს სარკინიგზო ხიდის ბურჯების მუდმივი მონიტორინგი;

ე) სამტრედიის მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით უზრუნველყოს მდ. ხევისწყალის სანაპიროზე მიწაყრილის გაკეთება;

ვ) სალიცენზიო ტერიტორიის დატბორვის შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს წყალამრიდი და სადრენაჟო სისტემების მოწყობა;

ზ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ„, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ„, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ„ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვაზისუბნის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ხევისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 87 600 მ3 ).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვაზისუბნის მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

11 746 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

1 174,6 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

6 073 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 9 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 8 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 8 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 8 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

5 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №3

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით, მისი შემდგომი გამოყენებისათვის.

გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ„, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ„, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ„ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ქეშალოს მიმდებარე ტერიტორია, სოფ. ქეშალოს ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 65 100 მ3).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ქეშალოს მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

8 729 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

872,9 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

4 565 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 9 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 8 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 8 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 8 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

5 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №4

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი ქ . თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57**

ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.

ბ)ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ„, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ„ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბირკიანის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ალაზანზე „ბირკიანი„-ის დიაბაზის (ლოდნარის ზედაპირული აკრეფვა) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად) - 11 340 მ3).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბირკიანის მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

10 000 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

1 000 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

5 200 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 9 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 8 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 8 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 8 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

5 წელი

**14. სხვა მონაცემები**

გ)ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწესრიგება.

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფ. მერჯევის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 730 მ3/წელიწადში).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

საჩხერის მუნიციპალიტეტი,სოფ. მერჯევის ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

24 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

2,4 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (80%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

219 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 9 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 8 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 8 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 8 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

25 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №18

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწესრიგება.

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. დვაბზუს ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 1825 მ3/წელიწადში).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. დვაბზუს ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

59 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

5,9 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (80%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

247 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 9 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 8 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 8 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 8 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

25 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №19

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება.

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. გომის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 1 000 მ3/წელიწადში).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. გომის ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

32 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

3,2 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (80%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

226 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 9 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 8 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 8 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 8 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

25 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №20

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება.

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩა, შესახვევი II ,N18ა, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 2 000 მ3/წელიწადში).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩა, შესახვევი II ,N18ა

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

65 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

6,5 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

233 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 9 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 8 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 8 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 8 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

25 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

2016, 8 სექტემბერი, №213

# საქართველოს პერიცა ემწარა



ორჯერ ვიგებდით და გამარჯვება ვერ შევინარჩუნეთ. ხორვატებს წაგება არ აწყობდათ და ბოლომდე გვიტევდნენ, მათაც შეეძლოთ მოგება, მაგრამ ჩვენებიც არ იმსახურებდნენ მარცხს, რადგან ბოლომდე დაიხარჯნენ. ჩვენც შეგვძლებია პრესინგი და მეტოქის საკუთარ ნახევარზე შეწუხება. თუმცა, დაცვა და მეკარე...

ლაზარე კუპატაძემ ორჯერ იხსნა საქართველოს ნაკრების კარი აშკარა გოლისგან, მაგრამ მეორე გოლისას ვერ ივარგა. იმ მომენტში სტიპე პერიცას ორი მცველიც მეურვეობდა, მაგრამ მაინც მოახერხა დარტყმა, სუსტი, მაგრამ საგოლე...

ქართველთა ორივე გოლი მშვენიერი იყო: მე-2 წუთზე, გიორგი ხარაიშვილის გამჭოლი პასი ნიკა კაჭარავამ კარგად გაატარა, ბურთი გიორგი პაპუნაშვილმა მიიღო და საქართველოს ნაკრები ახლო მანძილიდან უძლიერესი დარტყმით დააწინაურა.

მეორე გოლის დროსაც კაჭარავამ იყოჩაღა, რომელმაც ოთარ კიტეიშვილის პასი მიიღო და ნახევარბრუნით, თავზე გადაუგდო ხორვატთა მეკარეს. ლუვაკოვიჩსაც მართებდა უკეთ თამაში, მაგრამ ბურთი ვერ შეიმაგრა და ავტოგოლად ჩაეთვალა.

საბოლოოდ, საქართველოს ნაკრებმა შესარჩევი ციკლი მეოთხე ადგილზე დაასრულა.

**საქართველო-ხორვატია 2:2**

**ზესტაფონი.** დავით აბაშიძე

1:0 პაპუნაშვილი (2), 1:1 პერიცა (43), 2:1 ლუვაკოვიჩი (50სკ), 2:2 პერიცა (62)

**საქართველო:** კუპატაძე, ჩაბრაძე, ცნობილაძე, ტაბიძე (მარგველაშვილი 77), უბილავა (თევზაძე 22), ცინცაძე, პაპუნაშვილი, გვილია (გოროზია 70), კიტეიშვილი, ხარაიშვილი, კაჭარავა

**ხორვატია:** ლივაკოვიჩი, ბარტოლეკი, სალეტა-სარი, პერიჩი, მილიჩი, პავლიჩიჩი (ჩაპანი 63), ტუდორი (ბრეკალო 58), ჩორიჩი (კროვინოვიჩი 63), როგი, ვლაშიჩი, პერიცა

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ბოლოს კარი გაიჯახუნა და ხორვატიის ნაკრებს შესაძლოა, პირველი ადგილიც კი დააკარგვინა. გია გეგუჩაძის გაწვრთნილი გუნდი ჯგუფის ლიდერსა და ერთ-ერთ ფავორიტ ხორვატიას ზესტაფონში ფრედ ეთამაშა. არადა, მოგებაც შეიძლებოდა, რომ არა მეკარისა და მცველების უხეში შეცდომა.

მატჩი სანახაობრივი გამოდგა, ორივე გუნდმა ლამაზად ითამაშა, ვიხილეთ უამრავი საგოლე მომენტი და 4 გოლი.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ხორვატია | 9 | 6 | 2 | 1 | 22-7 | 20 |
| 2.შვედეთი | 8 | 5 | 3 | 0 | 17-5 | 18 |
| 3.ესპანეთი | 8 | 5 | 2 | 1 | 23-9 | 17 |
| 4.საქართველო | 10 | 4 | 1 | 5 | 17-17 | 13 |
| 5.ესტონეთი | 8 | 1 | 1 | 6 | 3-18 | 4 |
| 6.სან მარინო | 9 | 0 | 1 | 8 | 1-27 | 1 |

## შედეგები

**6 სექტემბერი**

**ფეხბურთი**

**მჩ-2018. შესარჩევი ეტაპი**

**ევროპა**

ანდორა-ლატვია ............ 0:1
ბელარუსი-საფრანგეთი ............ 0:0
ბულგარეთი-ლუქსემბურგი ............ 4:3
ბოსნია-ესტონეთი ............ 5:0
გიბრალტარი-საბერძნეთი ............ 1:4
კვიპროსი-ბელგია ............ 0:3
ფარერები-უნგრეთი ............ 0:0
შვეიცარია-პორტუგალია ............ 2:0
შვედეთი-ჰოლანდია ............ 1:1

**ს.ამერიკა**

ურუგვაი-პარაგვაი ............ 4:0
ვენესუელა-არგენტინა ............ 2:2
ჩილე-ბოლივია ............ 0:0
ბრაზილია-კოლუმბია ............ 2:1
პერუ-ეკვადორი ............ 2:1

**კონკაკაფი**

გვატემალა-სენტ ვინსენტი ............ 9:3
აშშ-ტრინიდადი ............ 4:0
კოსტა რიკა-პანამა ............ 3:1
იამაიკა-ჰაიტი ............ 0:2
კანადა-სალვადორი ............ 3:1
მექსიკა-ჰონდურასი ............ 0:0

**აზია**

ერაყი-ს.არაბეთი ............ 1:2
ჩინეთი-ირანი ............ 0:0
სირია-ჩრ.კორეა ............ 0:0
ტაილანდი-იაპონია ............ 0:2
ემირატები-ავსტრალია ............ 0:1
ყატარი-უზბეკეთი ............ 0:1

**ეჩ-2017. შესარჩევი ეტაპი (21)**

აზერბაიჯანი-ფარერები ............ 1:1
სომხეთი-ბულგარეთი ............ 0:1
ბოსნია-შვეიცარია ............ 0:0
ლატვია-ჩერნოგორია ............ 0:0
რუსეთი-ავსტრია ............ 1:1
საქართველო-ხორვატია ............ 2:2
უკრაინა-შოტლანდია ............ 4:0
სერბეთი-ირლანდია ............ 3:2
უელსი-ლუქსემბურგი ............ 1:1
ფინეთი-გერმანია ............ 0:1
პორტუგალია-საბერძნეთი ............ 1:0
იტალია-ანდორა ............ 3:0
თურქეთი-ბელარუსი ............ 1:0
ინგლისი-ნორვეგია ............ 6:1
ბელგია-ჩეხეთი ............ 2:1
დანია-რუმინეთი ............ 3:1
ისრაელი-ლიხტენშტეინი ............ 4:0
მაკედონია-ჩრ.ირლანდია ............ 2:0
საფრანგეთი-ისლანდია ............ 2:0

**ჩოგბურთი**

**ამერიკის ღია პირველობა**

**ქალები**

ვოზნიაცკი-სევასტოვა ............ 6:0, 6:2

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*


**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.



**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი


# მსოფლიოს ჩემპიონატზე 40 გუნდი ითამაშებს?




ფიფა, ფეხბურთის მთავარი მმართველი ორგანო, მზადაა, მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარების ფორმატი შეცვალოს. კერძოდ, გამოითქვა სურვილი 2026 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარების იდეა განიხილოს, რომლის მიხედვით, მუნდიალი 3 ქვეყანაში გაიმართება, ხოლო მონაწილეების რაოდენობა 40-მდე გაიზრდება.

**ჯანი ინფანტინო, ფიფას პრეზიდენტი:**

– ჩემი აზრი 40 მონაწილესთან დაკავშირებით არ შეცვლილა. პლუს, კონკაკაფს დიდი ხანია მუნდიალის ჩატარების უფლება არ მიუღია. ახლა ყველაფერია შესაძლებელი. კარგად გამოჩნდა ის ენთუზიაზმი, რომელიც ევროპის ჩემპიონატის გაფართოებამ გამოიწვია. ასეთი სახის მოვლენები ბევრად მეტია, ვიდრე შეჯიბრი, ეს არის სოციალური პროექტები მთელი მსოფლიოსთვის.

ფიფაში 2026 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარების მთავარ კანდიდატებად აშშ, კანადა და მექსიკა მოიაზრებიან, რომლებიც ერთობლივ განაცხადს შეიტანენ.

გადმოვინაცვლოდ ევროპაში, სადაც კლუბების ასოციაციის მე-17 კონგრესი გაიმართა და ახალი პროექტი დაამტკიცა. საქმე ეხება ჩემპიონთა ლიგის რეფორმაზე, რომელიც ძალაში 2018-19 წლების სეზონიდან შევა.

პროექტის მიხედვით, უნდა შეიცვალოს ცალკეული მატჩების დაწყების დრო, საერთო ყულაბიდან თანხების განაწილების პრინციპი. ასევე, ევროპის კლუბების ასოციაცია ითხოვს 4 ქვეყნისთვის (ინგლისი, ესპანეთი, გერმანია, იტალია) მუდმივ კვოტას და ასე შემდეგ.

ასოციაცია პროექტს წარუდგენს უეფას საკლუბო კომიტეტს, რომელიც, ალბათ, იძულებული გახდება მიიღოს წინადადება, რადგან უარის შემთხვევაში, ასოციაცია დამოუკიდებელ ლიგას შექმნის. სწორედ ამით აშანტაჟებს ის ევროფეხბურთის მმართველ ორგანიზაციას.

უეფას გარდა, მათ ღარიბი კლუბებიც ეწინააღმდეგებიან და პროექტს მდიდრების კიდევ უფრო გამდიდრების ახალ სქემას უწოდებენ. თუმცა, მეორე მხრივ, ყველა ხვდება, რომ ფეხბურთში დიდ ფულს მხოლოდ დიდი კლუბები იზიდავენ და აქედან უნაწილდებათ ის ღარიბებს.

კარლ ჰაინც რუმენიგემ, კლუბების ასოციაციის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ეს არ არის რევოლუცია, ეს არის ევოლუცია.

# თემურ ქეცბაია ნიუკასლში დააბრუნეს




9 ოქტომბერს ნიუკასალ იუნაიტედისა და მანჩესტერ იუნაიტედის ვეტერანთა გუნდები მატჩს გამართავენ, რომელსაც ალან შირერის ფონდი აწყობს. საქველმოქმედო შეხვედრა მანჩესტერის 5:0 განადგურების 20 წლისთავს ეძღვნება. მიწვეულთა შორისაა თემურ ქეცბაია.

მართალია, ქეცბაიას იმ მატჩში არ უთამაშია, მაგრამ ნიუკასლის ღირსებას იცავდა და შირერმა ქართველიც დაპატიჟა. ქეცბაიასთან ერთად ითამაშებენ: დარენ პიკოკი, ლეს ფერდინანდი, რუელ ფოქსი, სტივ ჰაუი, ალან ტომპსონი და სხვები.

ამხანაგურ მატჩში მონაწილეობაზე თანხმობა ათენის აეკის ქართველმა მწვრთნელმა უკვე დაადასტურა.

**თემურ ქეცბაია:**

– სასიამოვნოა წარსულის გახსენება, რადგან ინგლისში ბრწყინვალე პერიოდი გავატარე და შესანიშნავი გამოცდილება მივიღე. ნიუკასლში თამაში ჩემი კარიერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო. სამწუხაროა, რომ ნიუკასლს უკანასკნელ წლებში ცუდი პერიოდი უდგას. ძალიან ცუდია, როცა ასეთი დონის გუნდი მხოლოდ პრემიერლიგაში დარჩენისთვის იბრძოდა, უკანასკნელ სეზონში კი სულაც ჩემპიონშიფში დაქვეითდა.

სასიამოვნო იქნება, თუ ნიუკასლი კვლავ მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს და ისე ითამაშებს, როგორც ამ კლუბის გულშემატკივრები იმსახურებენ, რომლებიც მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ჰყავს.

ქეცბაია 1997-98 წლების სეზონს იხსენებს, როდესაც უეფას ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის პლეი ოფში ნიუკასლმა ზაგრების დინამო ქართველის გოლით დაამარცხა და ჯგუფურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა.

– ეს დიდებული პერიოდი იყო. ნიუკასლს ჩემი გოლი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრაში დაეხმარა. ასეთი დონის გუნდთან ერთად ასეთ ტურნირზე თამაში ძალიან სასიამოვნო იყო. ახლა იგივეს გამეორება ნიუკასლისთვის ძალიან რთული იქნება.

ქეცბაიამ მისი ნიუკასლში მთავარი მწვრთნელის პოსტზე შესაძლო მუშაობის პერსპექტივაზეც ისაუბრა.

– ნიუკასლის მწვრთნელობა? არავინ იცის, რა მოხდება მომავალში. ფეხბურთელის ცხოვრება ადვილი არ არის, მაგრამ ვისაც ეს გამოცდილი აქვს, დამეთანხმება, რომ მწვრთნელის ცხოვრება უფრო რთულია. შესაძლოა ერთ დღესაც ეს მოხდეს და ყოფილი კლუბი ჩავიბარო. ახლა მხოლოდ აეკზე და ამ გუნდთან ერთად წარმატებულ თამაშზე ვარ კონცენტრირებული.

ცხადია, საუბარი ოქტომბერში გასამართ საიუბილეო მატჩით დასრულდა, რომლის ბილეთებიდან შემოსული თანხა მთლიანად ფონდის ანგარიშზე ჩაირიცხება.

– საუბედუროდ, მსოფლიოში დახმარება უამრავ ადამიანს სჭირდება. სასიამოვნო იქნება, თუკი ამ საქმეში საკუთარ წვლილს შევიტანთ. თამაშზე მეც მომიწვიეს და მოუთმენლად ველი, როდის დავბრუნდები ნიუკასლში. ძალიან სასიამოვნო იქნება ძველ მეგობრებთან და თანაგუნდელებთან ბურთის გაგორება, მით უმეტეს, ასეთი ბრწყინვალე იდეის გამო, – დასძინა ქართველმა მწვრთნელმა.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი; 2. ჩარხზე მომუშავე ოსტატი; 3. საჭმლის მომზადების ხელოვნება; 4. წვრილად დაჭრილი, გამხმარი თამბაქოს ფოთოლი; 5. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ამერიკული ფირმა; 7. ისტორიული ციხე-სიმაგრე ზუგდიდის მახლობლად; 11. ირანელი ჯარისკაცი; 13. შავი ზღვის ზვიგენი; 15. ტვირთბრუნვით იტალიის ყველაზე დიდი ნავსადგური; 16. ბრიტანეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 18. მდინარე ბაზელში; 19. სტანდარტული ფორმის კითხვარი ცოდნის შესამოწმებლად.

**თარაზულად:** 6. ძვირფასი, მუქი ყავისფერი ბეწვის მქონე, წავისებრთა ოჯახის მღრღნელი ცხოველი; 8. თაფლისგან მომზადებული მათრობელა სითხე; 9. ბალახზე, ფოთლებზე შეყინული ცვარი; 10. სიტყვის ბოლოსართი; 12. ძველებური ინგლისური ოქროს ფული; 14. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 17. საერთაშორისო, კომპიუტერული, საინფორმაციო ქსელი; 20. საქართველოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ამერიკული ჯიში; 21. ჩეხური ქოფაკი; 22. საკვები პროდუქტების მწარმოებელი შვეიცარული ფირმა; 23. ამერიკელი იურისტი, დეტექტიური ჟანრის მწერალი.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ფარმაკოპეა; 2. ხაშური; 3. შარიათი; 4. თოიძე; 5. შატბერდი; 6. ხარკი; 7. გირკანი; 9. კვარცი; 13. ფუქსი; 17. ქუჯი; 18. „აია“.

**თარაზულად**: 1. ფსირცხა; 3. შუამთა; 8. „ჰამასი“; 10. „პუბლიკა“; 11. კასაი; 12. გეიმერი; 14. კონცხი; 15. ვაიკულე; 16. დაქსი; 19. მოსადი; 20. დაუგავა; 21. ბოგირი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ექსტაზი; 2. ძელქვა; 3. რენესანსი; 4. ხარება; 5. ჰელვეცია; 7. აკრი; 11. ლანქერი; 13. სტალონე; 15. ვენტა; 18. „ნორმა“; 19. იუანი.

**თარაზულად**: 6. ქრთამი; 8. გერგეტი; 9. ბორჩალი; 10. არქიელი; 12. ჯანღი; 14. „მარიცა“; 17. სტაგნაცია; 20. ღვეზელი; 21. ეტიუდი; 22. „მაინცი“; 23. ტალახაძე.



# სამგლოვიარო განცხადებები



## თინა გოგინავა-ხატიაშვილის ხსოვნას

თითქმის რვა ათეული წელი მიითვალა ამ ენერგიული, პასუხისმგებლობით სავსე, დაუზარელი, გამოცდილი მუშაკისა და სანიმუშო მეოჯახის, ქალბატონ თინა გოგინავა-ხატიაშვილის ამქვეყნიურმა ცხოვრებამ. ორიოდე დღის წინათ მიიბარა მისი კეთილი სული უფალმა და უდიდესი ტკივილი დაუტოვა ოჯახსა და თანამშრომლებს.

სენაკში დაიბადა, თუმცა შეგნებული ცხოვრების უდიდესი ნაწილი თბილისში გაატარა. საუკეთესო ფინანსისტმა ორ ათეულ წელზე მეტი იმუშავა საქართველოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკურ კომიტეტში მთავარ ბუღალტრად, 2011 წლიდან კი საქართველოს პენსიონერთა კავშირში საფინანსო განყოფილების გამგედ, მთავარ ბუღალტრად.

ქალბატონი თინა სიცოცხლის ბოლომდე უშურველად, ერთგულად ემსახურა საქართველოს პენსიონერთა კავშირს. გახლდათ უაღრესად მოწესრიგებული, აკურატული პასუხისმგებლობით სავსე ადამიანი, რომელიც მუდამ ზრუნავდა წესრიგი ჰქონოდა კავშირის საფინანსო საკითხებში, უშურველად ასწავლიდა სხვებსაც და მომთხოვნიც იყო. ძალიან გულისხმიერი, სიკეთით სავსე ქალბატონი გახლდათ, რომელიც ხელს უმართავდა ყველას.

ამავე დროს იყო არაჩვეულებრივი დედა და მეუღლე, მაგრამ ცხოვრებამ არ დააკლო ტკივილი და 1992 წელს ხელიდან გამოაცალა ერთადერთი ვაჟი, რასაც ქალბატონი თინა სიცოცხლის ბოლომდე უზომოდ განიცდიდა. თუმცა გულს ერთადერთი ქალიშვილითა და შვილიშვილით იკეთებდა, ქმარშვილის სიყვარულით იბრძოდა და სულდგმულობდა ბოლომდე, მაგრამ უმტყუნა გულმა... უმტყუნა და მისი გარდაცვალებით უდიდესი ტკივილი დაუტოვა ოჯახს, თანამშრომლებს.

საქართველოს პენსიონერთა კავშირის რეგიონული და რაიონული ორგანიზაციები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ქალბატონი თინა ხატიაშვილი-გოგინავას გარდაცვალების გამო და გულითადად უსამძიმრებენ განსვენებულის ოჯახს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

**საქართველოს პენსიონერთა კავშირის გამგეობა**

---

საქართველოს პენსიონერთა კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება კავშირის ღვაწლმოსილი თანამშრომლის, საფინანსო განყოფილების გამგის, მთავარი ბუღალტრის, ქალბატონი

**თინა გოგინავა-ხატიაშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე მანანა თოდაძე, შვილი გიორგი, რძალი მაკა გეგენავა, შვილიშვილი თორნიკე, სიძე რეზო ლორია, დისშვილები ეკა და კახა ლორიები, ცოლისდა ცარო ოჯახით, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნუგზარ (ხუტა) მამალაძე**

პანაშვიდი: 8 და 9 სექტემბერს, 16 საათიდან, სულხან ცინცაძის (ყოფილი საბურთალოს) ქუჩა №83.

გამოსვენება: 10 სექტემბერს, 14 საათზე, საბურთალოს სასაფლაოს ამაღლების ეკლესიიდან.

---



შვილები თიაზი, ლიანა, ოლეგი, სიძე ვახტანგ ასათიანი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი მამის

**მამანტი ერასტის ძე ჯოლიას**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 8, 9 სექტემბერს, 17 საათზე, მუხიანი, II მიკრორაიონი, XIII კორპუსი, ბინა 17.

გამოსვენება: შაბათს, 10 სექტემბერს, 14 საათზე, თბილისის ზღვის წმინდა გიორგის სახ. ეკლესიიდან.

---

თემურ ჭელიძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ძვირფასი ბიძის, დიდი სამამულო ომის მონაწილის, სსრკ-ის დამსახურებული ჩეკისტის, გალის რაიონის საპატიო მოქალაქის

**მამანტი ერასტის ძე ჯოლიას**

გარდაცვალების გამო.

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

---

# ასტროპროგნოზი 8 სექტემბრისთვის



**ვერძი** – იმპულსურობა საქმეს გააფუჭებს. დღეს საოჯახო და პირადი პრობლემების მოგვარება მოგიწევთ. **კურო** – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. პლანეტები გმფარველობენ. **ტყუპები** – კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი მოლაპარაკებებისათვის, ასევე სამოგზაუროდ ან მივლინებაში წასასვლელად. **კირჩხიბი** – საკუთარი ძალებისადმი იმედგაცრუებაა მოსალოდნელი. ნუ დაივიწყებთ პარტნიორებს, რომლებიც ერთ დროს წარმატების მიღწევაში დაგეხმარნენ. **ლომი** – კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისას სიფრთხილე გმართებთ. საკუთარი ადგილი იცოდეთ. **ქალწული** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. იაქტიურეთ. საქმიანი მოლაპარაკებებისათვის შეუფერებელი დროა. **სასწორი** – სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობა წარმატებული იქნება. დაუფიქრებელ, სპონტანურ გადაწყვეტილებებს არასასურველი შედეგი მოჰყვება. **ღრიანკალი** – ფინანსებს გაუფრთხილდით. გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები. საკუთარი შესაძლებლობები კარგად გათვალეთ. **მშვილდოსანი** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ, რაც, შესაძლოა, მოულოდნელმა მივლინებამ განაპირობოს. **თხის რქა** – სერიოზული საქმიანი მოლაპარაკებები არ წამოიწყოთ. უმჯობესია, თუ დღეს ყოფითი პრობლემების მოგვარებაზე იზრუნებთ. **მერწყული** – დიდი ყურადღებით მოეკიდეთ ფინანსებს. ნებისმიერი გაუთვალისწინებელი ხარჯი სახიფათოა. **თევზები** – დიდი დატვირთვა გელით როგორც ფიზიკურად, ისე – ემოციურად. საქმიან ქაღალდებს ხელს ნუ მოაწერთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

---


# ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური



სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთიერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79.**
**ქ. ზესტაფონი, რუსთაველის 158. ტელ: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.**


---


**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**


---


# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროებათანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას; სასქესო ორგანოების, პროსტატის ყველა ფორმის დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას – მამაკაცებში. მკურნალობაში ვიყენებთ აპარატსა და სქესობრივი კონტაქტის დასამყარებელ „ერექტორებს“. კონსულტაცია უფასოა. ტელ: 2 99 95 33; 593 60 60 44.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდააღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერებისგაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავისმკურნალობა,კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
**ქალბატონი ქეთათო**


---

# პროგრამა

**ხუთშაბათი 8 სექტემბერი**

**07.00** დოკ/სერ "შექმნა თუ არა ღმერთმა სამყარო" **08.00** ანიმაცია."ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" **09.00** ზღაპარი."ჩექმებიქნი კატა" **10.00, 12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **10.10** ტ/სერ."**წინ წარმატებისკენ**" **11.00** დ/ფ "ჟან-პოლ გოტიე" **12.30** მხ/ფ "**ჯუნიორი**" **14.00** ტ/სერ. "**ადვოკატები**" **15.00** დოკ/სერ შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** დოკ/სერ ცნობისმოყვარეობა. მუმიფიცირებული" **19.00** ტ/სერ. "**ცხიერი მოახლეები**" **20.00** მოამბემოამბის სტუმარი **21.30** "ინტერვიუ სალომე ასათიანთან" **22.10** მხ/ფ "**რეალობა იკბინება**" **23.40** მხ/ფ "**სწრაფები და შმაგები. დრიფტინგი ტოკიოში**

**08.00** დ/ფ "შტაინერების ოჯახი" **09.00** დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** მინი/სერ "**ვეტერინარი**" **12.00** ტ/სერ "**ევას სამი ვარდი**" **13.00** ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "ღრუბელი სამყაროს თავზე" **18.00, 21.00** "არჩევნები 2016" **20.00** "მოამბე" **22.00, 01.00** ტ/სერ "**ზღვარს მიღმა**" **23.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

**05.30** სერ. "**ბამბის ველი**" **06.30** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.20** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **4** სერ. **11.20** სერ. "**სიყვარულის ჟამი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **16.00** სერ. "**თანხმობა**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **4** სერ. **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** მხ/ფ "**წყნარი ყურე**" **02.00 2016** წლის BAFsA-ს დაჯილდოების ცერემონია **03.35** მხ/ფ "**სისხლის და თაფლის მხარეში**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45** სერ. "**გაბრიელა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**დედოფლის სევდა**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**ცხოვრების გზები**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** პროფილი **00.00**P.S.-(**28** აგვისტოს) ქერის უბანი **00.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**08.00** ან/ფ "**ვარსკვლავური ომები**" **09.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **12.00** შეხვედრები რეგიონულ მედიასთან **13.30, 02.30** სერ. "**ძვლები**" **14.30** ცოლები და ქმრები **15.00** მხ/ფ "**ეროვნული საგანძური**" **17.30** სერ. "**მსახიობი მამა**" **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 22.30** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **23.30** სერ. "**ამერიკული საშინელებათა ისტორია**" **00.30** მხ/ფ "**ჯოჯოხეთი**"

**06.15** სჯანი "საღვთო მადლისა და ადამიანის თავისუფალი ნების ურთიერთმიმართება" **06.40** პატერიკი-ვერცხლისმოყვარეობით შეპყრობილის განკურნება **06.50** დ/ფ "კვართიდან ქართველთა გოლგოთამდე" II ნაწ. **07.25** ქართული ალბომი "უსახლკარო არქივის ფურცლები" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება "აბიბოს ნეკრესელი" **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი "ასტროლოგია" **11.30** ეპოქის სახელები "არტემ ერქომაიშვილი" I ნაწ. **12.10** მხ/ფ "**საბუდარელი ჭაბუკი**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.00** ერთი წვეთი **15.05** ივერიის ეკლესია "საქართველოს ეკლესიის საზღვრები" **15.20** ქართ. ან/ფ **15.30** კონცერტი **17.05** საყმაწვილო ენციკლობედია **17.35** ჩვენი ფონდი "იაკობ გოგებაშვილის დედაენა" **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები "ოთარ თაქთაქიშვილი" **20.20** დ/ფ **20.40** ძილი ნებისა "ტომი და ჯერი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ლექციები მეფუტკრეობაზე "მეფუტკრეობა და ეკოსისტემა" **21.45** ამბიონი "დიდი მწუხრის დაწყება" **22.20** ჩვენი საგანძური "ლარგვისის ოთხთავი" **22.40** ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია "ხელნაწერების ეროვნული ცენტრი-ჯრუჭის სახარება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** გამოყენებითი ხელოვნება "ანიმაცია" **00.25** ისტორიის დღიური **01.25** მხ/ფ "**ხარება და გოგია**" **2** სერ.

**მაესტრო** **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ტატიანა**" **10.05** სერ. "**მოლოდინის სია**" **11.05** სერ. "**ვერონიკა**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.35** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **13.00, 14.05, 1.00** სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**ცხოვრება რომელიც არ ყოფილა**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.00** "ღამის კონტაქტი" **22.30** სერ. "**ესკობარი**" **0.00** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

8 სექტემბრისთვის

აშშ დოლარი — 2.3030

ევრო — 2.5722

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0704

100 რუსული რუბლი — 3.5546

## ამინდის პროგნოზი 8 სექტემბრისთვის





## 6 სექტემბრიდან

ანდრეი ბელი

# პეტერბურგი




ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი


## იუმორი



•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ცოლს რატომ არ ირთავ?

– იმიტომ, რომ ამით მხოლოდ პრობლემები მომემატება.

– ეგ როგორ?

– აი, მაგალითად, სამუშაო დღის შემდეგ ისვენებ. ამ დროს შემოსასვლელი კარიდან ცოლის ხმა ისმის, ხოლო უკანა კარიდან ძაღლის ყეფა. პირველს კარს რომელს გაუღებ?

– რა თქმა უნდა, ცოლს, ის ხომ უფრო ახლოსაა.

– არა, ძაღლს.

– რატომ?

– რომ შემოუშვებ, ყეფას შეწყვეტს.

•••

ერთი ლექტორი მეორეს ეკითხება:

– რა ცხვირპირი ჩამოგტირის, რა დაგემართა?

– ცოლმა სახლიდან გამომაგდო.

– რატომ?

– სექსის მერე ვუთხარი, „მომეცი შენი ჩათვლის წიგნაკი, ნიშანი დაგიწერო“...

•••

ელიტური რესტორნის პატრონი კლიენტთან თავს იწონებს და ეუბნება:

– ჩვენი რესტორნის სიამაყე კუა...

– ვიცნობ, გუშინ მემსახურებოდა.

•••

შვილი მამას ეკითხება:

– მამა, გველები ლაპარაკობენ?

მამამ სიდედრს გახედა და ეუბნება:

– ხმა ამოიღე, ხომ ხედავ, ბავშვს აინტერესებს!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.





## 8 სექტემბრიდან



ანა პოლიტკოვსკაია

# პუტინის რუსეთი

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი



## 9 სექტემბრიდან




ლევან ბრეგაძე

# ყოფითი რწმენა-წარმოდგენები

ამ წიგნში თავმოყრილია საქართველოში წინათ და ნაწილობრივ ამჟამადაც გავრცელებული ხალხური ყოფითი რწმენა-წარმოდგენების ნიმუშები. მაგალითად: თუ ხანგრძლივად გასლოკინებთ, ვიღაც თქვენს ძვირს ამბობს, ვინც ქალაქში პირველად ჩადის, კენჭი უნდა ჩაყლაპოს, რომ ქალაქმა არ დასცადოს, თუ მეზობელს ორშაბათს ფულს ასესხებ, იმ კვირაში სულ ფულის გაცემა მოგიწევს და სხვ. ეს ნიმუშები შეკრებილია ძველი და თანამედროვე ავტორების, მკვლევარ-შემგროვებლების ნაშრომებიდან, აგრეთვე შემდგენლის პირადი კოლექციიდან, კომენტარებით, შენიშვნებით, უცხოური პარალელებითა და ციტატებით.

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი


## ელისო ბოლქვაძე ნიკა რურუას წინააღმდეგ



იუნესკოს მშვიდობის არტისტი ელისო ბოლქვაძე ნიკა რურუას საარჩევნო კლიპს აპროტესტებს. ამის მიზეზი ნაციონალური მოძრაობის მთაწმინდის მაჟორიტარობის კანდიდატის მიერ თავის კლიპში ელისო ბოლქვაძის კონცერტის მონაკვეთის ჩასმა გახდა.

როგორც პიანისტმა ტელეკომპანია „იმედს“ სატელეფონო საუბრისას განუცხადა, მიუხედავად იმისა, რომ 2011 წელს თბილისში გამართული კონცერტის კადრები საჯაროა, წინააღმდეგია მასთან შეთანხმების გარეშე პოლიტიკოსებმა ის წინასაარჩევნო კლიპებში გამოიყენონ.

– არაკორექტულია პოლიტიკოსების წინასაარჩევნო კლიპში ჩემი სახელის გამოყენება ისე, რომ მე არ მკითხონ. ერთადერთი ჩემი ენა არის მუსიკის და მშვიდობის ენა. მე ნაციონალური მოძრაობის ღირებულებებთან ახლოს არ ვდგავარ და არც ამ პარტიის წარმომადგენელი ვარ, – განაცხადა ელისო ბოლქვაძემ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ნეიმარმა ბრაზილიის ნაკრებში 48-ე გოლი გაიტანა



ბრაზილიის ნაკრებმა საკუთარ მოედანზე კოლუმბია დაამარცხა 2:1 და ამ გამარჯვებით სატურნირო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა. გადამწყვეტი გოლი ამ შეხვედრაში ბრაზილიელთა ლიდერმა ნეიმარმა გაიტანა და ეს გოლი მისთვის ბრაზილიის ნაკრების მაისურით 48-ე გამოდგა.

ამ მაჩვენებლით ნეიმარი დაეწია ზიკოს, რომელსაც ასევე 48 გოლი აქვს ნაკრებში გატანილი. აღსანიშნავია, რომ ნეიმარს მხოლოდ სამი ფეხბურთელი უსწრებს. ესენი არიან რომარიო, რონალდო და პელე. პელეს ანგარიშზე 77 გოლია, ამიტომ ნეიმარს თავისუფლად შეუძლია ბრაზილიის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდეს.

## პალერმომ მწვრთნელი 2 ტურის შემდეგ შეცვალა



იტალიის ჩემპიონატი ახლახან დაიწყო და გუნდებმა ჯერ მხოლოდ ორი ტური ითამაშეს, მაგრამ პალერმომ უკვე მწვრთნელის შეცვლა მოასწრო. დავიდე ბალარდინიმ თანამდებობა გაურკვეველი მიზეზების გამო დატოვა, მის მაგივრად კი პალერმოს 37 წლის რობერტო დე ზერბი გაწვრთნის.

მსგავსი რამ გასაკვირი არ არის, როდესაც პალერმოზე ვსაუბრობთ, რადგან გასულ სეზონში ამ გუნდში მთავარი მწვრთნელი რვაჯერ შეიცვალა. პალერმო სეზონის ბოლომდე გადარჩენისთვის იბრძოდა და საბოლოოდ ეს მოახერხა.

როგორც ჩანს, ამ კლუბს წელსაც იგივე ბედი ელის.

## იბრაჰიმოვიჩმა ბრავოს წერილი გაუგზავნა



სეზონის პირველი მანჩესტერული დერბი ახლოვდება და ამ შეხვედრას ყველა მოუთმენლად ელის. ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც ამ თამაშს საინტერესოს ხდის, კლაუდიო ბრავოს დებიუტია, რომელიც სავარაუდოდ სწორედ სიტი-იუნაიტედის დაპირისპირების დროს შედგება.

ზლატან იბრაჰიმოვიჩმა ბრავოს წერილიც გაუგზავნა, სადაც მას წარმატება უსურვა და შაბათამდე დაემშვიდობა. ზლატანმა ეს წერილი თავისი ინსტაგრამის გვერდზე ატვირთა.

რა პასუხს გასცემს მას ბრავო, უცნობია, ხოლო რაც შეეხება შეხვედრას, ის შაბათს, 10 სექტემბერს, თბილისის დროით 15.30-ზე დაიწყება.

## მანჩესტერ იუნაიტედი ბეილს არ ეშვება



მანჩესტერ იუნაიტედი ისევ ცდილობს გარეტ ბეილის გადაბირებას. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, იუნაიტედი ბეილის აგენტთან აწარმოებს მოლაპარაკებებს და ხელფასის სახით ფეხბურთელს წელიწადში 16 მილიონ ევროს სთავაზობს.

რეალში ბეილს ასეთი მაღალი ჯამაგირი არ აქვს, ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ის ინგლისელების წინადადებას დათანხმდეს კიდეც. ჯერჯერობით უელსელი ფორვარდი ამ საკითხზე კომენტარს არ აკეთებს.

გარეტ ბეილი რეალში 2013 წელს გადავიდა და მის ანგარიშზე რეალის მაისურით უკვე 60 გატანილი გოლია. რეალთან ერთად ბეილმა ორჯერ მოიგო ჩემპიონთა ლიგა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ბენტნერი კარიერას ნოტინგემ ფორესტში გააგრძელებს



დანიელი ფორვარდი ნიკლას ბენტნერი კარიერას ინგლისის მეორე დივიზიონის გუნდ ნოტინგემ ფორესტში გააგრძელებს. ამის შესახებ ნოტინჰემის ფორესტის ოფიციალური ტვიტერის გვერდზე დაიწერა.

ბენტნერმა 2 წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და უახლოეს მატჩებში სათამაშოდ მზად იქნება.

აღსანიშნავია, რომ ნოტინგემი ინგლისის თასის გათამაშებაში არსენალს შეხვდა, ამიტომ ბენტნერი თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ითამაშებს, სადაც არაერთი წელიწადი გაატარა.

დანიელი თავდამსხმელის ბოლო გუნდი ვოლფსბურგი იყო, საიდანაც ის დისციპლინის დარღვევის გამო გამოუშვეს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ჩინელ კოსმონავტთა სახელწოდება; 2. ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 3. ჩაის ფოთლებსა და ყავის მარცვლებში არსებული ალკალოიდი; 4. ნივთიერება, რომელსაც უმატებენ მადანს დნობის დასაჩქარებლად; 5. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ამერიკული ფირმა; 6. ხელის გამომხატველობითი მოძრაობა; 7. ბუნებრივი ნაკრძალი აფხაზეთში; 9. სინარნარე, მოხდენილობა მოძრაობაში; 13. რგოლისებრი მარჯნის კუნძული; 17. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება თბილისში; 18. ტბა კანადა-აშშ-ს საზღვარზე.

**თარაზულად:** 1. ძვირფასბეწვიან ცხოველებზე მონადირე პროფესიონალი ჩრდილო ამერიკაში; 3. ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი; 8. საბადოდან ტორფის ამოსაღები ექსკავატორი; 10. უძველესი ქართული სამეფო; 11. უნგრული ღვინო; 12. სოფელთა სახელწოდება შუა აზიაში; 14. აეროპორტი ტოკიოში; 15. ჟანგბადის აღმომჩენი ინგლისელი ქიმიკოსი; 16. მდინარე ლონდონში; 19. ზანგისა და თეთრკანიანის ქორწინების შედეგად წარმოშობილი შთამომავალი; 20. ბეისბოლის მოთამაშის ამპლუა; 21. უზენაესი სასამართლო თურქეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*